ეროვნული ბიბლიოთეკა

Poti
ფოთი 91



# ხვალ ფოთში საზეიმოდ გაიხსნება ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში

წყალმოთხილამურეთა ევროპის საორგანიზაციო კომიტეტმა გუშინ საღამოს ფოთიდან შეგვატყობინა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ხმები, თითქოს ჩემპიონატის დღეებში ფოთი იკეტება. პირიქით, აქ ყველაფერი კეთდება, რათა რესპუბლიკის მოსახლეობამ იხილოს ეს ლამაზი სპორტული დღესასწაული. ფოთი ეპატიჟება ყველას. ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქს შეგიძლიათ ეწვიოთ ნებისმიერი ტრანსპორტით. ვიმეორებთ, ქალაქი ჩემპიონატის დღეებში არ იკეტება!



ფოთის წყალსათხილამურო სპორტული კომპლექსის ერთ-ერთი ხედი.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

13 აგვისტო, შაბათი, 1991 წ.
№ 151 (10 564) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ინგო პაში:

## „გავაცნოთ მსოფლიოს საქართველო და სლოვენია!“

**საქართველოში სტუმრად იმყოფება სლოვენიის ტურიზმის მინისტრი, ბატონი ინგო პაში.**
**მან პრესკონფერენცია გამართა ქართველი ჟურნალისტებისათვის:**

● **ბატონო მინისტრო, თქვენს ქვეყანაში დღეს ძალზე მწვავე პოლიტიკური ვითარებაა, შეიძლება ითქვას, სამოქალაქო ომია. და მაინც, გვაინტერესებს, რა მდგომარეობაა კიდევ ერთ ფრონტზე — ტურისტულზე?**

— დავიწყებ იმით, რომ მწვავე საომარი ვითარება ჩვენში ევროპის თანამეგობრობის მეცადინეობით დღეს უკვე აღარ იგრძნობა, თუმცა, გარკვეული დაძაბულობა მაინც არსებობს. მთავარი კი ის არის, რომ ჩვენი მშობლიური ლიუბლიანისა (იგი, როგორც ცნობილია, თბილისის დაძმობილებული ქალაქია) და სხვა ქალაქების ქუჩებში სიმშვიდეა, გაბმული სროლის ხმა აღარ ისმის. მადლობა ღმერთს! ახლა წინა პლანზეა პოლიტიკური ბრძოლა, რომლიდანაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, იუგოსლავიის ხალხები გამოსავალს იპოვნიან — ეჭვი არ მეპარება, ჩემი მშობლიური სლოვენია ბოლოს და ბოლოს დამოუკიდებელი გახდება, ისევე, როგორც თქვენი საქართველო! ცხადია, ამ არეულობის ჟამს ჩვენი სამინისტროც არ იჯდა გულხელდაკრეფილი. იგი აქტიურად მონაწილეობდა უცხოელი ტურისტების მდგომარეობის შემსუბუქების საქმეში — ხელს უწყობდა მათ დროულ და უხიფათო ევაკუაციას, — ხოლო ისინი, ვინც არ მოისურვა დაეტოვებინა ჩვენი ქვეყანა ამ გაჭირვების ჟამს, უზრუნველყოფილნი იყვნენ სასტუმროებში უფასო ცხოვრებითა და კვებით. ასეთნი კი საკმაოდ ბევრნი აღმოჩნდნენ. ცხადია, ამ შუა ტურისტულ სეზონში, რომელსაც სლოვენიისათვის დიდი შემოსავალი უნდა მოეტანა, ჩვენ გაუთვალისწინებელი ხარჯები გვქონდა. საბედნიეროდ, უკვე რამდენიმე დღეა, ჩვენს მიწა-წყალზე გამოჩნდნენ პირველი ტურისტები — ახალი ტურისტული ჯგუფები, თუმცა, პირდაპირ უნდა ითქვას, არც ისეთი დიდი რაოდენობით.

● **რას იტყვით სლოვენიის ტურისტულ კონტაქტებზე საქართველოსთან?**

— თქვენს რესპუბლიკასთან ჩვენ მუდამ ვაწარმოებდით ტურისტთა ურთიერთგაცვლას. ახლა გვინდა, ბევრად გაიზარდოს იგი და უფრო რეგულარული გახდეს. ცხადია, ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს მოსკოვის ჩაურევლად, პირდაპირი კონტაქტებით. მე წილად მხვდა პატივი, ვყოფილიყავი მიღებაზე თქვენს პრეზიდენტთან, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან და ამის თაობაზე მისგან მივიღე თანხმობა და მოწონება. შემდეგ რამდენიმე საქმიანი შეხვედრა გავმართეთ ბატონ კახი ასათიანთან. გადაწყდა, რომ უახლოეს პერიოდში მოხდება საექსპერტო კომისიების გაცვლა სლოვენიასა და საქართველოს შორის, სადაც გადაწყდება ჩვენი თანამშრომლობის პრინციპები და ცალკეული დეტალები.

● **თუ არ ვცდებით, თქვენ პირველად იმყოფებით თბილისში...**

— პირველად და, ვიმედოვნებ, არა უკანასკნელად. მშვენიერი ქალაქი ყოფილა თბილისი და საერთოდ, როგორც დავრწმუნდი, საქართველო შესანიშნავი ტურისტული პოტენციის ქვეყანაა. სამწუხაროდ, ახლა მოკლე ვადით ვარ ჩამოსული და ვერ ვახერხებ თქვენი დიდებული კურორტების — ბორჯომის, ქობულეთის, გაგრის, წყალტუბოს და სხვათა დათვალიერებას. სასურველია, რომ მსოფლიოც და ევროპაც უფრო მეტად იყოს ინფორმირებული თქვენს შესანიშნავ მხარეზე. ალბათ, საჭირო და დროულია სერიოზული მუშაობა მარკეტინგში. ჩვენ და თქვენ მართლაც ერთნაირი ბედი გვაქვს — ყველამ იცის, სსრკ და იუგოსლავია, აი, ჩვენი ქვეყნები კი — ნაკლებად. მოდით, ახლა საქართველო და სლოვენია გავაცნოთ მსოფლიოს — ვეწვიოთ ერთმანეთს, როგორც კეთილი მეზობლები და ძვირფასი სტუმრები.

ესაუბრა ეკა დორეული.

მას შემდეგ, რაც სამბოს სამყაროში მოხდა ბუნტი და ევროპის ახალი ფედერაცია შეიქმნა, რედაქციაში უამრავი შეკითხვა შემოდის დაახლოებით ერთნაირი შინაარსისა: „ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ სამბისტთა ახალ ევროპულ ფედერაციაში სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც გაწევრიანდა. უფრო მეტიც, სპორტის მოყვარულებს ისიც გვაუწყეთ, რომ ახალი ფედერაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს სამბისტთა ორგანიზაცია იყო. მაგრამ ცენტრალურ პრესაში ეს ამბავი ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა. რაშია საქმე“?

დღეს გთავაზობთ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ (1991 წ. 9 აგვისტო, № 154) დაბეჭდილ მასალას, რომელიც ერთგვარ პასუხს წარმოადგენს თქვენს შეკითხვებზე:

## ყოჩაღ, წმინდა მამაო!

— და კიდევ პადრე მარიომ გახსნა სამბოს დარბაზი თავისი ეკლესიის სარდაფში...

ჩემი თანამოსაუბრე — პრინციშკუს ეიგმინასი, ვილნიუსის უნივერსიტეტის დოცენტი, აგერ უკვე 30 წელია ლიტვის სამბისტთა ფედერაციას თავკაცობს. იგი ახლახან დაბრუნდა ტურინიდან, სადაც მონაწილეობდა სამბისტთა ევროპის ფედერაციის დამფუძნებელ საორგანიზაციო სხდომაზე. ეიგმინასი იქ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. სხვათა შორის, ლიტვის სპორტის ისტორიაში იგი პირველია, ვინც ესოდენ მაღალ ტიტულს ფლობს. ვიცე-პრეზიდენტი გახდა, ასევე, ნოდარ ექვთიმიშვილი. მსაჯთა კოლეგიის ხელმძღვანელად კი მოსკოველი ალბერტ ასტახოვი დაამტკიცეს.

ევროპის ფედერაციის მეთაური გახდა იტალიელი მღვდელი მარიო ლოი. სწორედ მისი ეკლესია იყო ტურინში გამართული ევროპის ფედერაციის პირველი ჩემპიონატის სპონსორი. შეჯიბრების პროცესში პადრე ყველაფერს ასწრებდა და ამით ხაზს უსვამდა, რომ უსაქმოდ ყოფნას არც შემდგომში აპირებს. მარიო ლოიმ თავი, სხვათა შორის, სარბიელზეც გამოიჩინა — გაიმარჯვა აბსოლუტურ კატეგორიაში. გასარებულმა მრევლმა ფინალური ბრძოლის შემდეგ ხელში აყვანილი გაიყვანა დარბაზიდან პადრე-პრეზიდენტი.

ვ. ხიტრიუკი

ვილნიუსი.

## პირველი შედეგები

ბრიუსელი. დაიწყო ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები. პირველი გამარჯვება მოიპოვა შავებით მოთამაშე ბორის გელფანდმა — მან მოუგო ნაიჯელ შორტს.

იან ტიმან — ვიქტორ კორჩნოის, აგრეთვე, ვასილ ივანჩუკ — არტურ იუსუპოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. გადაიდო ვიშვანათან ანანდისა და ანატოლი კარპოვის შეხვედრა.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# დავა გრძელდება. დარჩა ერთი ინსტანცია — რესპუბლიკის პროკურატურა

„ლელომ“ 9 აგვისტოს გამოაქვეყნა წერილი სათაურით „სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად...“ წერილში საუბარი იყო საქართველოს „სპორტლოტოს“ საწარმოსა და მოქალაქე ლ. იაშვილს შორის წამოჭრილი დავის შესახებ. საქმე სასამართლომდე მივიდა. ზემო ინსტანციებში დიდუბის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვეს. ამის შემდეგ „სპორტლოტოს“ საწარმომ ზედამხედველობის წესით საჩივარი შეიტანა რესპუბლიკის პროკურორის სახელზე. პროკურატურამ, როგორც ვწერდით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა და საქმე გაითხოვა.

გუშინ რედაქციაში გვეწვია „სპორტლოტოს“ საწარმოს დირექტორის პირველი მოადგილე ს. რამინიშვილი. მასთან საუბრის შემდეგ გაჩნდა რამდენიმე შეკითხვა, რომელზედაც სტუმარს ვთხოვეთ გაეცა პასუხი.

**● ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საქმის გარჩევისას მოქმედებს რაიმე ძალები, რომელთა დაწოლის შედეგია მიღებული გადაწყვეტილება?**

— მე არ გამაჩნია უტყუარი საბუთი იმისა, რომ ნამდვილად იყო ასეთი ჩარევა და ზეგავლენა. მაგრამ თუ ობიექტურად შევაფასებთ საქმის მსვლელობას და ჩვენამდე მოღწეულ ხმებს, უნდა ვიფიქროთ, რომ საქმეში ჩაერია იუსტიციის სამინისტროს ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი.

ვერაფრით ავხსნი, მაგალითად, იმას, თუ რატომ არ ჩატარდა საქმეზე ქიმიური ექსპერტიზა, რომლის აუცილებლობაც სასამართლომ ჯერ ორგზის სცნო საჭიროდ, შემდეგ კი გადაწყვიტა არ ჩატარებულიყო ქიმიური გამოკვლევა და საკმარისად ჩაეთვალათ ლატარიის სადავო ბილეთის ვიზუალური დასკვნა ანუ გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, უბრალო დათვალიერება, რასაც არ შეიძლებოდა, სწორი შედეგი მოჰყოლოდა და არც მოჰყვა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში, აგრეთვე, სხვა დოკუმენტებში ნათქვამია, რომ ვერ დადგინდა „სპორტლოტოს“ საწარმოს ის მუშაკი, რომელმაც დაუშვა შეცდომა, ეს მაშინ, როდესაც ბილეთს არტყია წინასატირაჟო დამუშავების შტამპი და დასმულია თარიღი და ორი მუშაკის ხელის მოწერა. საქმეში ჩაუხედავი კაცისთვისაც ნათელია, რომ საქმე გვაქვს არაობიექტურ გადაწყვეტილებასთან. ვის ჭირდებოდა ეს? და კიდევ: სადავო ბილეთი არც პროკურატურამ და არც სასამართლომ არ დაიცვა გარეშე პირთა ხელყოფისაგან, ხოლო საწარმოდან ნიმუშებად წაღებული ბილეთები დალუქული და საიმედოდ შენახულია. თბილისის საქალაქო და უზენაესმა სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვეს ეს და სხვა მსგავსი ფაქტები.

**● მოხდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება?**

— გადაწყვეტილების აღსრულება თავდაპირველად შეჩერდა უზენაესი სასამართლოს დასკვნამდე. მერე დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ჩვენი საჩივარი უარყოფილია და შეჩერება მოხსნილია, საწარმოში არ მიგვიღია. უზენაესის გადაწყვეტილება ცალმხრივად უცნობებიათ იაშვილისათვის, რომელსაც, როგორც ეტყობა, დოკუმენტი პირადად (არ ვიცი, ეს რამდენად კანონიერია) მიუტანია დიდუბის სასამართლოს აღმასრულებლისათვის და ისიც შესაშური ოპერატიულობით იმავე დღეს გამოცხადდა საწარმოში. მიუხედავად თანამშრომელთა თხოვნისა, დაეცადათ ერთი დღე, ვიდრე ხელმძღვანელობა დაბრუნდებოდა მივლინებიდან, აღმასრულებელს ბანკის მეშვეობით ჩამოუწერია ეს თანხა.

ამჟამად, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ შეაჩერა გადაწყვეტილების აღსრულება. მაგრამ რა, აღმასრულებელმა მოასწრო თანხის საწარმოს ანგარიშიდან მოხსნა.

დაბოლოს მინდა დავძინო, რომ ყველა ორგანიზაცია და მათ შორის „სპორტლოტოს“ საწარმოც, მუშაობს ინსტრუქციებზე დაყრდნობით, სხვანაირად საქმიანობის წარმართვა შეუძლებელია. საწარმოს კი ინსტრუქციის არც ერთი მოთხოვნა არ დაურღვევია. პირიქით, მისი თანამშრომლები მოქმედებდნენ შესაბამისი ინსტრუქციის სრული დაცვით. სასამართლომაც კი ამ ინსტრუქციის მიხედვით არ შეაფასა ჩვენი საქმიანობა.

---

# დისპანსერი — მეთოდური და ორგანიზაციული ცენტრი

**თბილისის** № 2 ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებაა და ძირითადად ემსახურება შესაბამისი ასაკის ანუ მოზარდ სპორტსმენთა ე. წ. სამედიცინო უზრუნველყოფას და იმ ბავშვთა მკურნალობას, რომელთაც ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და შრომისუნარიანობის აღსადგენად ესაჭიროებათ კომპლექსური რეაბილიტაცია. ეს დაწესებულება ბავშვთა და მოზარდთა მთავარ მეთოდურ და ორგანიზაციულ ცენტრად ითვლება საექიმო ფიზკულტურის დარგში. სხვებისგან განსხვავებით, ჩვენს დისპანსერში ფუნქციონირებენ მხოლოდ ბავშვთა განყოფილებები. დისპანსერის კოლექტივს ზურგს უმაგრებს 55 წლის გამოცდილება, ყოველწლიურად აქ დისპანსერული მეთვალყურეობის წესით ვამოწმებთ თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების 10.000-მდე მოსწავლე-სპორტსმენს. ვეწევით მეთოდურ და ორგანიზაციულ მუშაობას დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში.

დისპანსერის სტაციონარსა და პოლიკლინიკაში (ამბულატორიულად) ყოველდღიურად კომპლექსურ რეაბილიტაციას გადის 250 ავადმყოფი ბავშვი. უპირველესი მნიშვნელობა სამკურნალო ფიზკულტურას ენიჭება. სამკურნალო ფიზკულტურის განყოფილება ორგანიზაციულ-მეთოდურად და პრაქტიკულად ეხმარება თბილისის ბავშვთა პოლიკლინიკებსა და ბავშვთა საავადმყოფოებს.

თანამედროვე სპორტისთვის დამახასიათებელია ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა, სპორტულ პრაქტიკაში დამკვიდრდა დღეში ორჯერადი, სამჯერადი მეცადინეობები, რაც დიდ მოთხოვნებს უყენებს სპორტსმენის ორგანიზმს. კერძოდ, საჭირო გახდა სპორტსმენის ფიზიკური შრომისუნარიანობის გაძლიერება და დაღლის მოხსნის თანამედროვე სამედიცინო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური საშუალებების დანერგვა, მათი გამოყენება სპორტულ მედიცინაში. სპორტულ პრაქტიკაში სარგებლობენ აღდგენითი პროცესის პედაგოგიური (ძირითადი მეთოდი აღდგენისა), სამედიცინო-ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მეთოდებით. სამედიცინო-ბიოლოგიური მეთოდი სპორტსმენის ფიზიკური შრომისუნარიანობის გასაძლიერებლად და დაღლის მოსახსნელად ითვალისწინებს რაციონალურ კვებას, ვიტამინებსა და ფარმაკოლოგიურ პრეპარატებს, ცილოვანი გლუკოზის საკვებს და სპორტულ სასმელებს, ადაპტოგენებს და პრეპარატებს, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზმის ენერგეტიკულ პროცესებზე, ჟანგბადოვან კოქტეილებს და ოქსიგენოთერაპიას, ფიზიო-თერაპიულ და ჰიდროპროცედურებს, სპორტულ მასაჟს, აუტოგენურ წვრთნას, მუსიკას, ფერთა მუსიკას, ელექტრო ძილს, სამკურნალო გამახურებელ მალამოებს და საცხებს.

ამ მიზნით თბილისის № 2 ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში გაიხსნა სპორტული რეაბილიტაციის განყოფილება. ეს განყოფილება პირველია საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებს შორის, რომელიც დაეხმარება რესპუბლიკისა და თბილისის წამყვან მოსწავლე-სპორტსმენებს. 1984 წელს ორჯერ გამოვეცით ბროშურა ექიმებისთვის და მწვრთნელებისთვის („სპორტულ მედიცინაში სპორტსმენის ფიზიკური შრომისუნარიანობის გაძლიერებისა და დაღლის მოხსნის თანამედროვე სამედიცინო-ბიოლოგიური საშუალებები“). 1988 წლის თებერვალში იქვე № 2 ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში გაიხსნა სკოლამდელი ასაკის დღის სტაციონარი 4-6 წლის ბავშვებისათვის. აქ დანერგილმა ბავშვის ფიზიკური აღზრდისა და ორგანიზმის გამოწრთობა-გაკაჟების საშუალებებმა მკვეთრად აამაღლა ბავშვის ფიზიკური დატვირთვის დონე დღის განმავლობაში.

სკოლამდელთა აღზრდა ითვალისწინებს ბავშვის ასაკის შესაფერი გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის, კვების, ძილის და დასვენების რეჟიმის მოწესრიგებას. ამ საერთო ამოცანაში უმთავრესად ვთვლით ბავშვის ფიზიკურ ვარჯიშებს: დილის გამამხნევებელ ტანვარჯიშს, ყოველდღიურ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს, მოძრავ თამაშობებს ფიზიკური დატვირთვის ელემენტების გამოყენებით, გასეირნებას სუფთა ჰაერზე.

1989-90 წლებში განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტროებმა, ერთობლივად იმუშავეს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის, მათი ფიზიკური აღზრდის გასაუმჯობესებლად. ეს დიდ დახმარებას გაუწევს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობას და ფიზიკურ აღზრდას.

1990 წელს გამოიცა მეთოდური მითითებანი „საექიმო კონტროლი სკოლამდელ დაწესებულებებში“.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლის ფიზიკური აღზრდა მოიცავს საკლასო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე, ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას. ამ სამ სფეროს ეფუძნება მოსწავლეთა ჯანმრთელობა, მათი სწორი ფიზიკური აღზრდა და სპორტული დაოსტატება.

სამწუხაროა, მაგრამ ბოლო წლებში მკვეთრად გაუარესდა საკლასო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, რაც ერთობ საგანგაშოა. გაუარესდა „ა“ სპეციალურ ჯგუფში მოხვედრილი ავადმყოფი მოსწავლეების ფიზიკური აღზრდაც, მათი გამოჯანმრთელება სპეციალური პროგრამით. აუცილებელია განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტროებმა შექმნან კომისია სპეციალურ „ა“ ჯგუფში მოხვედრილი ავადმყოფი მოსწავლეებისათვის, შედგეს ფიზიკური აღზრდის სპეციალური პროგრამა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პრობლემურ საკითხად რჩება ხერხემლის სხვადასხვა დეფორმაციები — სქოლიოზი, მხედველობის დაქვეითება, სიმსუქნე, კბილის კარიესი. მოსაწესრიგებელია მერხების ნუმერაცია, ბავშვის ფიზიკური განვითარების მიხედვით (მერხი „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“).

სკოლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლა უნდა მოხდეს სანეპიდსადგურთან წინასწარი შეთანხმებით, რათა დავიცვათ სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაცია და ჰიგიენური მოთხოვნები. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ 1987 წელს გამოცემული მეთოდური რეკომენდაციით „საექიმო კონტროლი სკოლაში“.

№ 2 ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერში ათეული წლებია ფუნქციონირებს ფსიქონევრული (ბ. ც. დ.) ამბულატორიული განყოფილება 60-70 ავადმყოფ-ინვალიდი ბავშვისათვის, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მათ სამკურნალოდ, დისპანსერი მზად არის სამედიცინო მომსახურება გაუწიოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტულ ფედერაციას. მჯერა, რომ ქართველი „ღვთის შვილები“ მონაწილეობას მიიღებენ საგანგებო საერთაშორისო შეჯიბრებებში.

№ 2 ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერს მჭიდრო კავშირი აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრასთან, დისპანსერი სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო ბაზაა. სათანადო დონეზეა სამეცნიერო პრაქტიკული შრომების გამოცემა, რომლებიც იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“ (დაბეჭდილია 20 ნაშრომი), გამოცემულია ბევრი მეთოდური მითითება, გამოქვეყნდა წერილები ჟურნალ-გაზეთებში.

საქართველოს სპორტი ახალ გზას დაადგა, მის წინსვლაში თავისი სიტყვა უნდა თქვან საქართველოს საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებმა.

დასასრულ, შემომაქვს წინადადება: საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებს შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს „სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის“ ან „რეაბილიტაციის და სპორტული მედიცინის ცენტრი“.

**თენგიზ ქუთათელაძე,**
**თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ბავშვთა სამკურნალო ფიზკულტურასა და სპორტულ მედიცინაში, თბილისის ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი.**

---

# კომერციალიზაციის გავლენა სპორტზე

**სპორტის** ნებისმიერი სახეობის კომერციულ გასართობად გადაქცევა მაყურებელში მის პოპულარობაზეა დამოკიდებული. სპორტული შეჯიბრებებისადმი გულშემატკივართა ინტერესი, როგორც წესი, შემდეგი ფაქტორებით აიხსნება: 1. შეჯიბრების საბოლოო შედეგის გაურკვევლობით; 2. რისკის დონით ან სპორტსმენების ფულადი ჯილდოს ოდენობით; 3. მათი ოსტატობისა და გმირობის დემონსტრაციით. ცხადია, სპორტის კომერციალიზაციის დროს ეს და სხვა ფაქტორები უნდა გავაძლიეროთ, რათა ფართო საზოგადოების ყურადღება მივიპყროთ. დავუკვირდეთ, როგორ ზეგავლენას ახდენს კომერციალიზაცია სპორტზე, კერძოდ, მის გარეგნულ ფორმაზე, სპორტსმენთა, მწვრთნელთა, სპონსორთა და სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მისწრაფებებზე.

სპორტის უმეტესი სახეობების გარეგნულ ფორმაზე კომერციალიზაციამ საგრძნობი ზეგავლენა ვერ მოახდინა. „მაყურებელთა მოთხოვნილებების ზეგავლენის მიუხედავად სპორტის სახეობების უმეტესობამ ისტორიულ ასპექტში შეინარჩუნა თავისი საწყისი „გარეგნობა“, — ამბობს მკვლევარი ტერი ფიორსტი. — მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა თამაშის წესებმა, მაგრამ — არამცდაარამც სრული დემონტაჟი უწინდელი „მოწყობილობისა“.

წესებში კომერციალიზაციით გამოწვეული ცვლილებანი, სულ ცოტა, 4-დან ერთ-ერთს ისახავს მიზნად: 1. დააჩქაროს მოვლენათა განვითარება თამაშში და ამით მაყურებელი იხსნას მოწყენილობისგან; 2. შედეგიანობის ზრდასთან ერთად გაამძაფროს მაყურებლის ემოციური განცდებიც; 3. ჩასატარებელი ტურნირის საერთო სქემა ისე უნდა ავაწყოთ, რომ თამაშებისა და მატჩებისადმი მთელი სეზონის განმავლობაში შევინარჩუნოთ ცხოველი ინტერესი; 4. მატჩებისა და შეჯიბრებებისას შესვენებები დავუთმოთ სპონსორებს თავიანთი პროდუქციის რეკლამისთვის (ეს უკანასკნელი ძირითადად დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის).

რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. ფეხბურთის წესები შეიცვალა, რათა იგი დახურულ შენობაში თამაშისთვის მიესადაგებინათ. ამან გულშემატკივარს საშუალება მისცა მთელი წლის განმავლობაში მოხერხებულად მოკალათებულიყო და სანახაობით დამტკბარიყო. ჩოგბურთში ქულათა დარიცხვის თანმიმდევრობის შეცვლამ იმის საშუალება მოგვცა, რომ მატჩების ხანგრძლივობა ტელევიზიის მოთხოვნებისთვის შეგვეხამებინა. მსგავსი მაგალითების მოტანა ამერიკული პროფესიული ფეხბურთიდან, კეტბურთიდან, კალათბურთიდანაც შეიძლებოდა. ამასთან, დასახელებული სპორტის სახეობების თავდაპირველი იერი დღესაც არ შეცვლილა. უფრო მეტიც, სიახლეთა ნაწილი თვით სპორტსმენების ინტერესებს გამოხატავს: მათ მოსწონთ დინამიზმი, შედეგიანობა, მძაფრი მეტოქეობა, თუმცა უმეტესობას არ უყვარს ეგრეთ წოდებული კომერციული ტაიმ-აუტები.

იმის მაგალითები, რომ კომერციალიზაციას საგრძნობლად შეეცვალა სპორტის „სახე“, ცოტა მოიპოვება, მაგრამ ჩამოთვლა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია. მათ რიცხვს განეკუთვნება გორგოლაჭებით სირბილი, ამერიკული პროფესიული ჭიდაობა, მოტოციკლეტებით ტრამპლინიდან ხტომა და ასე შემდეგ — შეჯიბრებები, რომლებიც მონაწილეთა სპორტული ოსტატობის დონის შესამოწმებლად კი არ იმართება, არამედ უმეტესად გასართობად. დროდადრო სპორტის ეს სახეობები ფართო გამოხმაურებასა და რეკლამას ჰპოვებენ, მაგრამ სპორტის მოყვარულთა უმეტესობა მათ სპორტის „ნამდვილ“ სახეობათა რიცხვს არ მიაკუთვნებს.

კომერციალიზაცია სპორტსმენის ფასეულობათა ორიენტაციაზე უფრო დიდ გავლენას ახდენს, ვიდრე სპორტის გარეგნულ მხარეზე. იმისათვის, რომ სპორტით ფული იშოვო, ხალხის დიდი რაოდენობა უნდა მიიზიდო სტადიონის სალაროებთან და ტელევიზორის ეკრანებთან. უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებელთა უმრავლესობა ღრმად ვერ ერკვევა სპორტული ოსტატობის ტექნიკაში ან თამაშის სტრატეგიაში. ამიტომ ხშირად მასობრივ მაყურებელზე უდიდეს შთაბეჭდილებას ტოვებს ისეთი რამ, რაც თამაშთან უშუალოდ სულაც არ არის დაკავშირებული. სხვა სიტყვებით, ისინი „უტიფარი“ რეკლამის ბადეში ებმებიან, შეჯიბრების მსვლელობისას ყურადღებას აპყრობენ ადვილად აღსაქმელ მოვლენებს. მაგალითად, ტკბებიან იმ სიტუაციით, როდესაც სპორტსმენი დიდ რისკზე მიდის და ხიფათში იგდებს თავს; მათ მოსწონთ ის სპორტსმენები, რომლებიც ოსტატურად ფლობენ ეფექტურ თეატრალურ მეთოდებს, ფიზიკურ შესაძლებლობათა ზღვარს აბიჯებენ, გამარჯვების მისაღწევად არ ზოგავენ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

როდესაც სპორტი ფართო საზოგადოების ინტერესების შენარჩუნებაზეა დამოკიდებული, სპორტსმენთა, მწვრთნელთა და სპონსორთა ღირებულებათა ორიენტაციაში ცვლილებანი გარდაუვალია. მათ კარგად ესმით, რომ ის ეკონომიკური სარ-

იხ. მე-4 გვ.

# ფეხბურთი — სიხარული და ტკივილი

**მის** თამაშს თვალყურს ინტერესით ადევნებენ. ინტერესით იმიტომ, რომ ლანჩხუთის „გურიის" ნახევარმცველი ოთარ კორღალიძე, ყველა იმ გრძნობა-უნარითაა დაჯილდოებული, საჭირო მომენტში ნალდ საგოლე პოზიციაში რომ გაჰყავს. ზოგჯერ მაღალ ნახტომში თავით გააქვს გოლი, ზოგჯერ საკუთარი კარის მისადგომებთან ლამაზი გდებით განმუხტავს ხოლმე მეტოქის ფორვარდის სახიფათო იერიშს, მაგრამ ყველაზე მეტად აღტაცებაში მოვყავართ მისეულ პოზიციის შერჩევის უნარს კონტრშეტევების დროს...

ერთი სიტყვით, ოთარ კორღალიძე ის ფეხბურთელია, რომელიც „უხდება" საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს. წელს იგი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა 14 გატანილი გოლით. დამეთანხმებით, ეს საკმაო მიზეზი იყო იმისათვის, რომ მას შინ ვწვეოდი ინტერვიუსათვის.

— 35-ე საფეხბურთო სკოლა, — გაიხსენა ო. კორღალიძემ, — ჩემთვის მეორე სახლი იყო, ჩემი პირველი მწვრთნელი თენგიზ მელაშვილი გახლდათ. ნამდვილ ფეხბურთს კი 1982 წელს, ლანჩხუთის „გურიაში" ვეზიარე. შემდეგ თბილისის გუნდებში — „ლოკომოტივსა" და „დინამოში" გამოვდიოდი. ქუთაისშიც ვთამაშობდი, ვფიქრობ, არცთუ ურიგოდ. 1988 წლიდან კი საბოლოოდ დავუსვი წერტილი ჩემს „მოგზაურობას" და დღემდე „გურიის" მაისურით გამოვდივარ.

● **პერსპექტიული ფეხბურთელი კარგი პროფესიონალი რომ დადგეს, თქვენი აზრით, რა ფაქტორებია საჭირო, ცხადია, კარგი პირობების გარდა?**

— მატერიალური მხარე, კომფორტი, სხვა წვრილმანები ფეხბურთელის პროფესიონალად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როგორი ურთიერთობა დამყარდება კოლექტივსა და „ახალწვეულს" შორის. სტაჟიანი მოთამაშე ვარ და მინახავს, ვაიმწვრთნელებს თავიანთი არაკომპეტენტურობით როგორ დაუღუპავთ ნიჭიერი მოზარდი, ვითომდა, „ჭირვეული" ხასიათის გამო. ადამიანის უკვე ჩამოყალიბებული ხასიათის „გადაკეთება" ძნელია. მწვრთნელმა უნდა მიიღოს ის როგორიც არის და თავისი გასაღები უნდა მოარგოს. დანარჩენი კი ორივეს პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. თუ ბურთს ბოლომდე არ უერთგულე, პროფესიონალი ვერ გახდები. პირველი მაინც სიყვარულია, შემდეგ — დანარჩენი.

● **რას ნიშნავს, იყო პროფესიონალი ფეხბურთელი?**

— ფეხბურთელი თამაშში უნდა ერკვეოდეს წვრილმან დეტალებამდე და მუდმივად ხვეწდეს სათამაშო ინტელექტს. მოედანზე ისე უნდა მოქმედებდეს, რისი ნიჭი და უნარიც აქვს, მაქსიმალურად ამჟღავნებდეს. პროფესიონალად არ იბადებიან, იგი უნდა გახდე. მტკიცე შინაგანი დისციპლინაა საჭირო, ცხადია, ისეთი დღეებიც გამოერევა, ადამიანურად რომ ვთქვათ, გული გაგიწევს „რეჟიმის დასარღვევად", მაგრამ ზღვარი უნდა იცოდე. პროფესიონალს უნდა ესმოდეს, რომ ფეხბურთი მისი სამუშაოა და არა გასართობი.

● **ახეთები თუ არიან ლანჩხუთის „გურიაში"?**

— ფრიდონაშვილი, მეგრელაძე, ქანთარია, ტყებუჩავა... ეს ფეხბურთელები ვარჯიშის შემდეგაც რჩებიან მინდორზე თამაშის კლასისა და სტილის დასახვეწად. ბოლოს და ბოლოს, მარტო მედლებისა და ქულებისათვის ხომ არ ვთამაშობთ, მაყურებელიც მატჩის „მონაწილეა", პირველ რიგში, მას უნდა სცე პატივი.



● **რაკი მაყურებელი ახსენეთ, ბარემ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის „მტკივნეული წერტილებიც" გავიხსენოთ. განვლილ ორ სეზონში ფათერაკიანმა ვაიგულშემატკივრებმა ბევრჯერ „გამოაჩინეს კბილები" და ამით დათვური სამსახურის მეტი არა გაუწევიათ რა თავიანთი გუნდებისთვის. რა ხდება, იქნებ მატჩის არბიტრები მართლაც ზედმეტს სცოდავენ?**

— დავიწყოთ იმით, რომ უამრავი პრობლემით გულდამძიმებული ჩვენი ხალხი ფეხბურთისადმი ძველებურ ინტერესს ვეღარ იჩენს. საშინლად „თვალისმომჭრელია" ცარიელი ტრიბუნები. გულშემატკივარი სტადიონზე მოდის ლამაზი ფეხბურთის საყურებლად. თუმცა, რაც ფეხბურთში გარემარბი „მოკვდა", ფეხბურთის სილამაზეც „გახუნდა". სამწუხაროდ, გუნდები საწადელის მისაღწევად უხეშობასაც არ თაკილობენ. შემდეგ მსაჯიც „ახსენდებათ" და იწყება გულშემატკივართა „დესანტის" მიერ მინდვრის „დალაშქვრა", მსაჯთან ანგარიშსწორება... დიახ, არბიტრის დაბალი კვალიფიკაციაც იწვევს მოედანზე უხეშობას, მაგრამ მუშტით რა უნდა ასწავლო მსაჯს? ასეთი შემთხვევაც მახსოვს: უხეშად მირტყამენ ფეხებში, იქვეა მსაჯიც, რომლის სახის გამომეტყველება და ჟესტიკულაცია „გვუბნება" — „ვერ ვხედავ". თუ რაიმე თქვი, ბრაზდება და... ისე კი, ინციდენტის წამომწყები ხშირად მაინც ფეხბურთელია, უფრო მკაცრი, რომ იტყვიან, კონსტრუქციული ზომების მიღებაა საჭირო. დაუძლეველი არაფერია. მთავარია ურთიერთგაგება და პატივისცემა. გულშემატკივარს კი ერთსა ვთხოვ: დღეს მორალური მხარდაჭერა გვჭირდება ძალიან, ჩვენი საქმე ხომ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, უბრალოდ, ფეხბურთის თამაში.

● **არც ათლეტური აღნაგობისა ხართ და არც მაღალი, მაგრამ „საჰაერო დუელსა" და მეტოქესთან „ახლო ბრძოლას" არ გაურბიხართ. ტრავმებიც, ღვთის წყალობით, „გვერდს გიქცევენ", გოლებიც საკმაოდ გაგაქვთ...**

— მშიშარა და უნებისყოფო არ უნდა იყო. ის რა ფეხბურთელია, ბრძოლას რომ გაურბის, ფეხს მარტო იქ დგამს, სადაც უსაფრთხო ადგილი ეგულება.

● **ბომბარდირობაზე თუ ოცნებობდით და, საერთოდ, რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს გოლეადორი?**

— ფეხბურთში მუდამ ორ კანონს ვცემდი პატივს — ვასრულებდი მწვრთნელის დავალებას და ვთამაშობდი გუნდისთვის. ბომბარდირობაზე არც მიფიქრია, თუმცა, ჩემი თამაშის კვალობაზე, ალბათ სხვანაირად ვერც მოვიქცეოდი. ბომბარდირისთვის აუცილებელია ამტანობა, ბურთის ფლობის დახვეწილი ტექნიკა, მოქმედების ფართო დიაპაზონი და გოლის გატანის ალღო. ცხადია, ცოტა იღბალიც და კიდევ — ბოროტად არ უნდა იყენებდეს ინდივიდუალურ თამაშს.

● **როგორ გგონიათ, ყოველივე ამას უნაკლოდ ართმევთ თავს?**

— ნალდ საგოლე მომენტებს ხშირად ვაფუჭებ. ემოციურიც ვარ, მაგრამ ეს ის ფაქტორია, საშუალებას რომ მაძლევს მთელი ენერგია გავცე ბრძოლის დროს.

● **ყველა მწვრთნელს საქმიანობის თავისი პრინციპები აქვს. თქვენ რომელი მწვრთნელი დაგამახსოვრდათ?**

— გივი ნოდია. მკაცრიც იყო და ამასთან ერთად ადამიანური სითბოთი გამოირჩეოდა. ის ხომ 27 წლის იყო, როცა მჯობნის მჯობნს დაუთმო თავისი ადგილი და დიდი ფეხბურთიდან წავიდა.

● **თქვენს მიერ გატანილ ყველაზე ლამაზ გოლს ხომ ვერ გაიხსენებთ...**

— ეს იყო სოხუმში 1990 წელს, როცა „გურია" ადგილობრივ „ცხუმს" ხვდებოდა. მატჩი მთავრდებოდა, ზედიზედ რამდენიმე მეტოქეს რომ ავუარე გვერდი და გოლიც გავიტანე. ლევან ყიფიანის გოლთან ერთად ჩემიც იყო წარდგენილი საუკეთესოთა კონკურსზე.

● **ნათამაშევი მატჩებიდან რომელს გამოყოფდით?**

— „დინამოსა" და ბრემენის „ვერდერის" შეხვედრას უეფა-ს თასის მერვედფინალში. აი, ბოლო წუთებზე თავით ის ბურთი რომ გამეტანა, ვინ იცის... თუმცა, იღბალიც ხომ ძლიერთა მხარეზეა.

● **დღევანდელი ქართული ფეხბურთის დონესა და პერსპექტივებზე რას გვეტყოდით?**

— დონეზე ლაპარაკი ჯერ ძნელია — მოლდოვასა და ლიტვის გუნდებთან შეხვედრით ვერ განვსაზღვრავთ, უფრო მაღალი რანგის პარტნიორები უნდა შეირჩეს. ეროვნულ ჩემპიონატში კი ახლა არჩევანის დიდი საშუალება გვაქვს და ნიჭიერნიც არ დაიკარგებიან. ვფიქრობ, ქართული ფეხბურთის პოტენცია ჯერ კიდევ გაუხსნელია.

● **იმ ფეხბურთელებზე რა აზრისა ხართ, უცხოეთის კლუბებში რომ მიდიან?**

— ახალბედა რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს, ზოგჯერ წლობით უწევს ცდა. მოლოდინში შეიძლება უკვალოდაც დაიკარგოს. ჩვენი ფეხბურთის დღევანდელი იზოლაციის პირობებში ფეხბურთის ფედერაციამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მოთამაშეთა მიგრაციას საზღვარგარეთ. მერწმუნეთ, ახლა ფეხბურთელს ისე სჭირდება „სხვა სამყაროში" მოხვედრა, როგორც მარათონელს გრძელ დისტანციაზე მეორე სუნთქვა.

● **ოთარ, თქვენ უკვე 31 წლისა ხართ...**

— მე მიყვარს ფეხბურთი, ჩემი გუნდი, ფეხბურთი ჩემი ცხოვრება, სიხარული და ტკივილია, მისი გულისთვის ბევრ რამეზე ვთქვი უარი. გუნდშიც თავს კარგადა ვგრძნობ, პროფესიის შეცვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. მოკლედ, თამაში უნდა გიყვარდეს, ბურთიც სიყვარულით გიპასუხებს, ოღონდ უნდა გაიგო „ბურთის ენა".

კიდევ რა შეიძლება ითქვას ოთარ კორღალიძეზე? ის, რომ უყვარს მუსიკა და თავისუფალ დროს მთლიანად ოჯახსა და მრავალი მეგობრის გარემოცვაში ატარებს. მისი საყვარელი გუნდი მილანის „ინტერნაციონალეა", კუმირი — იოჰან კრუიფი. ადამიანში პირდაპირობასა და ინტელექტს აფასებს. მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარი, ცხადია, მისივე ოჯახია. ჩემთან საუბარში გამოტყდა, რომ ყველაზე დიდი სიხარული პირველი შვილის, ლევანის დაბადებისას განიცადა (სხვათა შორის, 11 წლის ლევანი დემოგრაფიული საზოგადოების ლანჩხუთის გუნდში, „მგლებში" ვარჯიშობს), კიდევ ის, რომ მამისა და ძმის „პროფესიული დიალოგის" შემყურე 5 წლის ანუკი იბუტება და მთელი სერიოზულობით ამბობს: „მეც ფეხბურთელი გამოვალ!" მესამე ეროვნულ ჩემპიონატში № 9-ს, ოთარ კორღალიძეს, კვლავ ვიხილავთ მწვანე მინდორზე და, იმედია, თავისი „საფირმო" მოჭრილი დარტყმებით კვლავაც არაერთ ბურთს გაიტანს.

**გოჩა ვახაძე**

# საქართველოს თასზე

**ფეხბურთში** საქართველოს ეროვნული თასის გათამაშების 1/32 ფინალის პირველი მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „მერანი" (თბილისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:2, „ჩელა" (დარჩელი) — „მევარდენი" (ზუგდიდი) 3:2, „სალხინო" (მარტვილი) — „იმედი" (ლაითური) 2:1, „ანცი" (თბილისი) — „არმაზი-90" (თბილისი) 2:2, „ეგრისი" (სენაკი) — „სიონი" (ბოლნისი) 2:2, „ქართლი" (გორის რაიონი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:0, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „არმაზი" (მცხეთა) 3:3; „გურია-2" (ლანჩხუთი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 1:1, „იბერია" (ქარელი) — „დურუჯი" (ყვარელი) — არ შედგა, „იბერია" (ხაშური) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 3:0, „ჭაბუკიანი" (ჭაბუკიანი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 3:2, „სქური" (წალენჯიხა) — „ერწუხი" (წნორი) 0:1.

განმეორებითი მატჩები გაიმართება 23 აგვისტოს.

## ინფორმაცია

**ტორონტო.** ისეთი პირი უჩანს, რომ ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი წლეულსვე აალაპარაკებს ჩოგბურთის სამყაროს. ყოველ შემთხვევაში, ამასწინანდელ წარმატებას ვეევაში, ამასწინანდელ... ნორჩმა სპორტსმენმა ახალი გამარჯვება მოაყოლა საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათას დოლარს შეადგენდა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან ბულგარელ კატერინა მალეევას აჯობა — 6:2, 6:3.

**ცინცინატი.** ამერიკის ამ ქალაქში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში საპრიზო ფონდმა 1,3 მილიონი დოლარი შეადგინა. ყველაზე დიდი ჰონორარი მიიღო ფრანგმა გი ფორჟემ, რომელმაც ფინალში ამერიკელი პიტ სამპრასი დაამარცხა — 2:6, 7:6, 6:4.

**სან-სებასტიანი.** მსოფლიო თასის მფლობელმა პროფესიონალ ველოსიპედისტთა შორის, იტალიელმა ჯანი ბუნიომ არაორაზროვნად განაცხადა, რომ წლეულსაც მზადაა იბრძოლოს ამ საპატიო პრიზისათვის. ფავორიტის განცხადებამ განსაკუთრებით გაიჟღერა მეექვსე ეტაპის შემდეგ, რომელიც ბუნიომ საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო.

ესპანეთის ამ საკურორტო ქალაქის შემოგარენში გამართულ 238-კილომეტრიან ჯგუფურ რბოლაში ბუნიომ აჩვენა 6:04.28. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ცნობილი ესპანელი ველოსიპედისტი პედრო დელგადო და მსოფლიო ექსჩემპიონი, იტალიელი მაურიციო ფონდრიესტი, რომლებიც გამარჯვებულს, შესაბამისად 55 წამითა და 1,17 წუთით ჩამორჩნენ. ასეთივე ჩამორჩენა ჰქონდა მეთოთხმეტე ადგილზე გასულ, ბოლო „ტურ დე ფრანსის" ჩემპიონს მიგელ ინდურაინს.

ექვსი ეტაპის შემდეგ (მსოფლიო თასი სულ 12 ეტაპისაგან შედგება) ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ფონდრიესტი — 74 ქულა, როლფ სორენსენი (დანია) — 68 ქულა და ლორენ ჟალაბერი (საფრანგეთი) — 64 ქულა.

# „ოლიმპიკის" [illegible] — ჟან-პიერ პაპენი

**ვინ** იცის, შეიძლება წელს ისე მოხდეს, რომ ევროპის ნომერ პირველი ფეხბურთელის ჯილდო — „ოქროს ბურთი" მარსელის „ოლიმპიკის" კაპიტანს და უპირველეს ვარსკვლავს ჟან პიერ პაპენს მიენიჭოს.

პაპენი დაიბადა 1963 წლის 5 ოქტომბერს ბულონ-სიურ-მარში. 177 სმ. სიმაღლისაა და 70 კგ-ს იწონის. 1986 წლის მსოფლიო პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ზედიზედ სამჯერ — 1989-90-91 წლებში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. ერთობ დინამიური მოთამაშეა, დიდი შემტევი ძალით, შესანიშნავად არის შეთამაშებული თავის პარტნიორ კანტონასთან, რომელთანაც ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი ტანდემი შექმნა. პაპენი კომბინაციური თამაშის ოსტატია. ამასთან, ინდივიდუალური გარღვევებიც ემარჯვება — მიიღებს ბურთს და ცრუ მოძრაობებით იკვლევს გზას... პაპენს ევროპის არაერთი წამყვანი კლუბი ეპატიჟება, მაგრამ (ჯერჯერობით!) არაფერი გამოსდით, იგი „ოლიმპიკის" ერთგული რჩება.

ჟურნალისტებმა პაპენის თავისებური „ტესტირება" ჩაატარეს, განთქმულმა ფეხბურთელმა მათ სხვადასხვა საინტერესო კითხვას უპასუხა.

**კაპიტანი.** ფრიად საპატიო მოვალეობაა. უკვე სამი წელია ამ მოვალეობას მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდები.

**გოლი.** ყველაზე მეტი 1989-90 წლების სეზონში გავიტანე საფრანგეთის პირველ დივიზიონში, ეროვნულ თასზე, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე და საფრანგეთის ნაკრებში — სულ 43 ბურთი.

**ბერნარ ტაპი** — ჩვენი კლუბის პრეზიდენტმა ამ რამდენიმე წლის წინ განაცხადა, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს მოვიპოვებდით, სხვა სიტყვებით, ევროპის საკლუბო ჩემპიონები გავხდებოდით. აი, სწორედ აქეთკენ მივისწრაფვით.

**200 მილიონი ფრანკი** (რომელიც ტაპიმ გამოჰყო) — რა თქმა უნდა, ძალზე დიდი თანხაა, მაგრამ სხვანაირად ღირს გუნდს ვერ შექმნი.

**კარლოს მოზერი** (ბრაზილიელი მცველი) — ჩვენი სუპერლიბერო. ასაკის მიუხედავად (მოზერი 30 წლისაა), ახალგაზრდული ენერგიით არის აღსავსე. შესანიშნავად თამაშობს თავით.

**მარადონა.** ჩვენთან „ოლიმპიკში" მის გადმოსვლაზე ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ამის შესახებ არავის სჯეროდა.

**გულშემატკივრები.** მე მათ კეთილგანწყობილებად და ავებად ვყოფ. თუმცა, რაც არ უნდა იყოს, რა იქნებოდა ჩვენი კლუბი უგულშემატკივრებოდ.

**ვან ბასტენი.** დიდი ფეხბურთელი, ყველაზე კარგი თავდამსხმელი, რომელიც კი ოდესმე მინახავს.

**ტურინის „იუვენტუსი".** ბევრი ლაპარაკია ამ კლუბში ჩემი გადასვლის თაობაზე.

**ინტელექტი.** საიდან უნდა მქონდეს, დაბალი ფენებიდან ვარ გამოსული.

**ფილმები.** კვირაში ორჯერ მაინც ვიძენ ფილმებს, რადგან კინოს დიდი მოყვარული ვარ. სახლში 1300 ვიდეოკასეტა მაქვს.

**პრესა.** ამ ბოლო წლებში ხშირად მხვდებიან ჟურნალისტები. საერთოდ, პრესის დიდი მოყვარული არა ვარ, სენსაციები არ მიტაცებს.

**კანტონა.** ჩემი „მონახევრე" თავდასხმაში, ახალგაზრდა, რომელიც შესანიშნავი ფეხბურთელია და კეთილი გული აქვს. მე ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას ვილაპარაკო მის ნაკლოვანებებზე.

**პლატინი.** საერთოდ, ყველა საფეხბურთო ვარსკვლავზე მაღლა ვაყენებ. ასეთი კლასის მოთამაშე საფრანგეთის ნაკრებს არასოდეს ჰყოლია.

**მოამზადა ვივი თორელმა.**

# კომერციალიზაციის გავლენა სპორტზე

(დასასრული)

გებელი, რომელსაც ისინი სპორტისგან იღებენ, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წყდება სტადიონებსა და ტელეეკრანებთან მაყურებლის მიზიდვის საქმე. ამას ის მოსდევს, რომ „ესთეტიკური ორიენტაციიდან" აქცენტი გადაინაცვლებს „გმირულ ორიენტაციაზე", როდესაც იმ ხალხის გართობის მოთხოვნილება წარმოიქმნება, რომელთაც მოცემულ სფეროში არ გააჩნიათ საკმარისი ტექნიკური ცოდნა, სპორტსმენებში ხშირად შეჯიბრებებზე მომხდარის გადაფასება ხდება. მათ შეუძლიათ მატჩებს „სპექტაკლები" უწოდონ, თავი ჩათვალონ როგორც სპორტსმენებად, ისე გასართობი ჟანრის მუშაკებად. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ესთეტიკური ფასეულობანი სრულიად ქრება სპორტიდან; ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ ისინი მეორე რიგში ინაცვლებენ, ვინაიდან მხოლოდ იმ მაყურებლებისთვის ხდებიან მნიშვნელოვანნი, რომლებიც სპორტში საფუძვლიანად ერკვევიან.

როდესაც, პირველ ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებენ არა სპორტის ესთეტიკურ, არამედ ჰეროიკულ მხარეზე, ჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ სპორტი თავისივე მასობრივ პოპულარობას ემსხვერპლოს.

კომერციალიზაციას ცვლილებები შეაქვს სპორტის მმართველ ორგანოებშიც. როდესაც სპორტი არსებობს მხოლოდ მისით გატაცებულთა სიამოვნებისთვის, შეჯიბრების პირობებზე კონტროლი, როგორც წესი, სპორტსმენების, მწვრთნელების, პროგრამის შემდგენელთა და შემოსავლების უანგაროდ გამნაწილებელი ორგანოების ხელშია. ამ ორგანოთა უპირველესი მოვალეობაა უზრუნველყონ შეჯიბრებებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

როდესაც სპორტი გამორჩენის მიზნით არსებობს, სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან ერთად კონტროლს ახორციელებენ გუნდების მფლობელებიც, კორპორაციული სპონსორებიც, რეკლამის მსურველნიც, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებიც, მარკეტინგის, საზოგადოებრიობასთან კავშირისა და მართვის სპეციალისტები, მოანგარიშეებიც, შუამავალ-აგენტებიც. კომერციული სპორტის მართვის ორგანოებს, ჩვეულებრივ, რთული სტრუქტურა აქვთ, ვინაიდან მათ უხდებათ ყველა ჩამოთვლილი ჯგუფის ინტერესების კოორდინირება, მაგრამ მათი მთავარი მიზანია მაინც მაქსიმალური მოგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ასახავს უამრავი ადამიანის საერთო ინტერესებს, რომლებსაც უშუალოდ არა აქვთ კავშირი სპორტის შესაბამის სახეობასთან ან სპორტსმენთან. ამრიგად, სპორტსმენებს კომერციული სპორტის ბევრ სახეობაში არათუ სულ უფრო მეტად უძნელდებათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა, არამედ იმ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენაც კი, რომლებიც უშუალოდ ეხება მათ პირად ინტერესებს. იმის კვალად, რაც უფრო შორდებიან სპორტსმენები გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და მათი ინტერესების გათვალისწინება ნაკლებმნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევა, პერსპექტიული გეგმებისა და საქმიანი გარიგებების შემუშავებისას სპორტსმენთა როგორც ჯგუფის ინტერესები უფრო მეტადაა იგნორირებული. ამ ტენდენციებს დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტში მიმდინარე პროცესებისთვის. კერძოდ, სპორტსმენებს ახალი გზების ძებნა უხდებათ თავისი ინტერესების დასაცავად, მათ შორის ფინანსურისაც.



## „ვოლაბები" — მჯობნის მჯობნი

**გასულ** კვირაში ახალზელანდიელი მორაგბეები ავსტრალიაში ერთბაშად ორი გუნდით ჩამოხდნენ. ჯერ იყო და სამშაბათს, ქვინზლენდის შტატის დედაქალაქ ბრისბენში მეზობელი ქვეყნების „ბ" ნაკრებები შეეჯიბრნენ ერთმანეთს, შაბათს კი მეორე „სარაგბო" შტატის — ახალი სამხრეთი უელსის დედაქალაქ სიდნეიში ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის უძლიერესისათვის სარგო ბლედისლოუს თასის გათამაშების პირველი თამაში გაიმართა.

ზამთრის მიუხედავად, ბრისბენში შეხვედრა 28-გრადუსიან სიცხეში მიმდინარეობდა. სტუმართა გუნდში „ბებერი", პირველი ნაკრებისთვის დაწუნებული ვარსკვლავები — შელფორდი (№ 8) და სთენლი (№ 13) თამაშობდნენ, მასპინძელთა შორის კი გამოირჩეოდა ასევე ვეტერანი ქათლერი (№ 4), რომლის წყალობითაც ავსტრალიელები მეტწილად ეუფლებოდნენ კიდიდან მოწოდებულ ბურთებს და თამაშის პირობებს კარნახობდნენ მეტოქეს. მასპინძლებმა პირველი ნახევარი მოიგეს — 15:12, მეორეშიც უტევდნენ, მაგრამ თამაშის მიწურულს ლელო გაუშვეს და წააგეს — 15:21. სტუმრებს ოცდაერთივე ქულა ახალგაზრდა მცველმა იონ ქროსანმა შესძინა.

ამასობაში ახალი ზელანდიის პირველ ნაკრებს მცველი ქიარან ქრაული დაუშავდა და ქროსანს შანსი გაუჩნდა, „ოლ ბლექსის" 15-ნომრიანი კვართი პირველად ესოდენ მნიშვნელოვან შეხვედრაში მოეზომა. შანსი კი მიეცა, მაგრამ ახალზელანდიელთა მწვრთნელებმა სხვაგვარად ინებეს, გარემარბი რაითი მცველად გადაიყვანეს, რაითის ადგილზე კი მეორე გუნდიდან თიმუს უხმეს. როგორც მერე გაირკვა, ასეთმა გადანაცვლებამ ვერ გაამართლა.

ავსტრალიელებს, რომელთა გუნდსაც კენგურუს ტანჩია ჯიშის ხათრით „ვოლაბები" ჰქვია, ბოლო ოთხი სეზონი ბობ დვაიერი წვრთნის. მათი შემადგენლობა 1987 წელს მსოფლიო თასზე განცდილი მარცხის (თუკი მეოთხე ადგილი მარცხად შეიძლება მივიჩნიოთ) შემდეგ თითქმის მთლიანად შეიცვალა და ბოლო თვის მანძილზე უკვე მესამედ იმარჯვეს — უელსისა და ინგლისის ძლევის შემდეგ ახლა მსოფლიო ჩემპიონებსაც დამაჯერებლად მოუგეს.

არადა, ავსტრალიელები ერთი პირობა აგებდნენ, რაკილა მათმა ვეტერანმა გარემარბმა ქემფიზიმ კარგად ვერ დაიჭირა ახალზელანდიელ ფოქსის (№ 10) მიერ დარტყმული ბურთი და იგი „ოლ ბლექსის" მორკინალ იან ჯოუნზს (№ 4) ჩააბარა, ფოქსმა კი ლელო კიდის ხაზიდან გარდასახა — 0:6. ორიოდ წუთში „ვოლაბების" მორკინალმა ქერნსმა (№ 2) ლელო გაიტანა, ლაინაფმა (№ 10) კი გარდასახა — 6:6. შესვენებამდე ფოქსმა და ლაინაფმა კიდევ თითო საჯარიმო შეაგდეს — 9:9, შესვენების შემდეგ კი ლაინაფმა ჯერ ორი საჯარიმო გაიტანა, მერე მის მიერ დარტყმულ ბურთს რაითი და გარემარბი ქირვანი ასცდნენ, მას „ვოლაბების" გარემარბი ეგერთონი დაეუფლა და სტუმართა კარსუკან დაამიწა. ლაინაფმა ლელო გარდასახა და თუმცა, ფოქსმა დარჩენილ დროში ერთი საჯარიმო შეაგდო, ორი კი — კარს ააცდინა, ავსტრალიელებმა სრულიად დამსახურებულად — 21:12 მოიგეს პირველი ტესტი, რომლის სანახავადაც „სიდნი ფუთბოლ გრაუნდზე" 41 ათასმა კაცმა მოიყარა თავი.

მეორე ტესტი 23 აგვისტოს ახალ ზელანდიაში, ოქლენდის „იდენ ფარქზე" გაიმართება. თუ მოგება სურთ, მასპინძლებმა „ვოლაბების" ნახევარდაცვა: ლაინაფი (№ 10) — ფარჯოუნზი (№ 9) უნდა „ალაგმონ" და ავსტრალიელთა მძიმე და გაწაფულ მორკინალებსაც რამე მოუხერხონ, თორემ გევინისა და 20 წლის, 203 სანტიმეტრი სიმაღლის ილსის ოსტატობის ხარჯზე კიდიდან მოწოდებული ბურთი მეტწილად „ვოლაბების" საკბილო ხდება. არადა, „ოლ ბლექსი" მუდამ იმით იყო ცნობილი, მთელს მსოფლიოში უძლიერესი შერკინება რომ ჰყავდა. ამაზეა ნათქვამი „მჯობნის მჯობნი არ დაილევაო!"

შაბათსვე, ნამიბიის ნაკრებმა წელს ზედიზედ მეექვსე ტესტი მოიგო: ამჯერად, სტუმრად, ჰარარეში აჯობა მასპინძელს, ზიმბაბვეს ნაკრებს — 21:16. არადა, ოქტომბერში ზიმბაბვე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, ნამიბია კი — ვერა.

**ზაზა ფხაკაძე**

### ინფორმაცია

**ჰავანა.** XI პანამერიკულ თამაშებზე, რომელიც კუბის დედაქალაქში მიმდინარეობს, ბოლოსდაბოლოს მსოფლიო რეკორდიც გაუმჯობესდა. მრგვალ სტენდზე სროლაში აშშ-ის ნაკრებმა 450 შესაძლებლიდან 445 ქულა მოაგროვა. ძველი რეკორდი, რომელიც 1989 წლის შემდეგ ჰოლანდიელ მსროლელებს ეკუთვნოდათ, 441 ქულას უდრიდა.

**მადრიდი.** ტრადიციული რბოლა ურკიოლის მთის მწვერვალისკენ მოიგო ესპანელმა პედრო დელგადომ. 160-კილომეტრიანი ტრასა მან 3 საათსა და 59,34 წუთში დაფარა, ამით სან-სებასტიანში დამარცხების რევანში აიღო ჯანი ბურიოსთან, რომელიც ამჯერად მხოლოდ მეოთხე იყო.

### „სპორტლოტო"

**გაიმართა** „სპორტლოტოს" 1991 წლის 32-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45":** 1 (კალათბურთი), 4 (კრივი), 27 (მშვილდოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 38 (ალპინიზმი), 40 (რიკაობა).

**„სპორტლოტო 5 36":** 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 16 (ცხენოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 31 (ფარიკაობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

### „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1991 წლის 31-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.714.811 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (59) მოგება 726 მანეთია, თორმეტისთვის (1.941) — 44, თერთმეტისთვის (19.528) — 15.

საქართველოში: დაშვებულია 6.162 ვარიანტი. 13—4, 12—86, 11—762.

31-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 24 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით.

**რედაქტორი**
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## სპორტკონკურსი-91 „ჯანმრთელი ოჯახი"

თუ თქვენ მეგობრობთ სპორტთან, დილაობით ვარჯიშობთ, გიტაცებთ რბენა ან აერობიკა, ცურვა ან ტურიზმი, თუ თვლით, რომ სუფთა ჰაერი და მოძრაობა ყველაზე საუკეთესო წამალია ადამიანისათვის, — ერთი სიტყვით, ჯანმრთელი ცხოვრებით ცხოვრობთ — თქვენ თამამად შეგიძლიათ, მონაწილეობა მიიღოთ სპორტკონკურს-91-ში „ჯანმრთელი ოჯახი", რომელსაც აწყობენ ეროვნული სპორტისა და თამაშობების გაერთიანება „იმედი" და მისი რეგიონალური საბჭო „მიმინო" 1991 წლის ოქტომბერში და რომელიც ეძღვნება ეროვნული სვეტიცხოვლობის დღეს — „მცხეთობას".

კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო იქნება შეავსოთ თანდართული ანკეტა და 30 სექტემბრამდე წარმოადგინოთ „მიმინოში" მისამართით: ქ. თბილისი, ანაგის ქ. № 7, შრომის სასახლე, მე-17 სართული, ოთახი № 1713, ტელ: 38-61-26, 38-98-83.

კონკურსის მონაწილე შეიძლება გახდეს ყველა ოჯახი 3, 4, 5 წევრის შემადგენლობით, რომელნიც რეგულარულად მეცადინეობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ნებისმიერ სახეობაში.

**რეგიონალური საბჭო „მიმინო"**

სპორტკონკურს — 91

„ჯანმრთელი ოჯახის" მონაწილის

ანკეტა

ქ. ———————— „——" ———————— 1991 წ.

| №№ რიგით | გვარი და სახელი | წლოვანება | მუშ. ადგილი, თანამ. | სპორტული გატაცება | სპორტული მიღწევა | ხართ თუ არა ჩამოყალიბებული სპორტში ნეცად. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | | |
| 2. | | | | | | |
| 3. | | | | | | |
| 4. | | | | | | |
| 5. | | | | | | |

ბ. ა. ოჯახის უფროსის ხელმოწერა

კოლექტივის პროფკომის თავმჯდომარე

**შენიშვნა:** ათი საუკეთესო ოჯახი, გამოვლენილი 5-ბალიანი სისტემით, გადის ფინალში, ჯილდოვდება სამახსოვრო ფასიანი პრიზითა და საჩუქრებით, შემდგომ შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობის უფლებით.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ხარაიძე, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 99-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.